



მოშიშვლად პაციენტის სიცოცხლის უფლების დაცვის ფარგლები და ხელოვნური (იძულებითი) ჯვების მიზანშეწონილობა

ირინა ბათიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
შპს „თბილისი ენერჯის“ გენერალური დირექტორის
კონსულტანტი გენდერულ საკითხებში

რეზიუმე. თანამედროვე სამედიცინო დაპაციმრებულის სტატუსის მქონე ადამიანების მიმართ მოპყრობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. შიმშილობის დროს პაციენტის ხელოვნური (იძულებითი) კვება, საერთაშორისო პრაქტიკა შესაძლებელია, ოთხი ტიპის მიდგომად დაიყოს. იძულებითი კვების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს აუცილებლობის ფაქტორზე, მიზანზე და პროცედურულ გარანტიებზე. ხელოვნური (იძულებითი) კვება, თუ პროცედურული ნორმების დაცვას გაცდება, შესაძლებელია მენტალურ და ფიზიკურ მძიმე და ხანგრძლივ ტკივილად გადაიქცეს. ამ ნაშრომში წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა, თუ რა ცვლილებები უნდა იქნეს განხორციელებული საქართველოს შესაბამის ნორმატიულ აქტში, რომ ზუსტად გაიწეროს, რას ნიშნავს სამედიცინო დახმარება და პაციენტის თანხმობის გარეშე პაციენტის შიმშილობის რა ეტაპზე შეიძლება აღნიშნული სამედიცინო დახმარების გამოყენება. რამდენიმე დასავლური ქვეყნის საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დანახულ იქნეს მნიშვნელოვანი პრინციპები და სტანდარტები, რისი გამოყენებითაც ხდება ხელოვნური (იძულებითი) კვებისთვის, იძულებითი მკურნალობისთვის და იძულებითი სამედიცინო გამოკვლევისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ასევე, ჩემი მოსაზრებით, ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით შექმნილი სტანდარტები შეიძლება კარგად მიესადაგოს იმ შემთხვევას, როდესაც პაციენტი უგონო მდგომარეობაშია და წინასწარ მას საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია ხელოვნურ კვებასთან დაკავშირებით. პაციენტის შიმშილობის დაწყების მომენტიდან მთავრობა დგება ორი არჩევანის წინაშე: ან პაციენტი შიმშილით მოკვდეს, ან შესაბამისი ორგანო პაციენტის ხელოვნური (იძულებ-



ითი) კვების სახით ჩაერიოს შიმშილობაში. ისმის კითხვა: არსებობს კი მესამე არჩევანი? როცა სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს აღწევს, სახელმწიფომ განმუხტვის გზა უნდა მოძებნოს და არა პირიქით.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური (იძულებითი) კვება, მოშიმშილე პატიმარი, ძირითადი უფლებები

შესავალი

დაკავებულის, ბრალდებულის და მსჯავრდებულის სტატუსის მქონე ადამიანის მიმართ მოპყრობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა თანამედროვე სამყაროსთვის ზოგადად ადამიანის მდგომარეობის საერთო გაუმჯობესების ჭრილში¹. დაპატიმრებული ფაქტობრივად, დარჩენილია პოლიციის და ციხის თანამშრომლების კეთილსინდისიერების ამარა; ამასთან, გარე სამყაროს მოწყვეტილია და, აქედან გამომდინარე, დაუცველია ისეთი არასათანადო მოპყრობისგან, რომლითაც ირღვევა მისი უფლებები. რაც შეეხება შიმშილობის დროს პატიმრის ხელოვნურ (იძულებით) კვებას, ამ შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკა შესაძლებელია ოთხი ტიპის მიდგომად დაიყოს. გერმანია, საფრანგეთი, ამერიკა და ისრაელის ქვეყნების ნორმატიულ დოკუმენტებში პირდაპირ გათვალისწინებულია მოშიმშილის იძულებითი კვების უფლება². ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იძულებითი კვების დროს აუცილებლობის ფაქტორზე, მიზანზე და პროცედურულ გარანტიებზე³. მოშიმშილე პატიმრის იძულებითი (ხელოვნური) კვების უფლება და სტანდარტები საქართველოს შემთხვევაში პირდაპირ და ნათლად კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული⁴. ბრიტანეთის მაგალითი და მისი სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმად ადამიანს აქვს უფლება, შიმშილობის გზით დაასრულოს სიცოცხლე, მეოთხე ტიპის მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს⁵. თუმცა ამ ოთხ შემთხვევაში საგულისხმოა პრინციპები და ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოშიმშილე პირის უფლებაში ჩარევის იდენტიფიცირებაზე.

1. United Nations, Office of the High Commissioner for Human Rights, Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, International Legal Standards for the Protection of Persons Deprived of Their Liberty, Chapter 8, p.317, New York and Geneva, 2003.
2. Lempel J., Force-Feeding Prisoners on a Hunger Strike: Israel as a Case Study in International Law, Harvard International Law Journal, 2019.
3. Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on the case-law of the European Convention on Human Rights, Prisoner's rights, Updated on 31 December 2021.
4. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N169, „პენიტენციურ დაწესებულებებში მოშიმშილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, 04/07/2013.
5. Secretary of State for the Home Department v. Robb [1995] 1 All ER 677, Times 21-Oct-1994, Ind Summary 10-Oct-1994.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შიმშილობის პროცესი დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან, რადგან, პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევაში შიმშილობის მდგომარეობა უკავშირდება ღირსების დაცვას. წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტის მიერ ჩამოყალიბდა „წამების“ ყველაზე ფართო კონცეფცია⁶. ასევე, ცხადია, რომ იძულებითი (ხელოვნური) კვება, თუ პროცედურული ნორმების დაცვას გასცდება, შესაძლებელია მენტალურ და ფიზიკურ მძიმე და ხანგრძლივ ტკივილად გადაიქცეს.

დღეის მდგომარეობით ქართულ კანონმდებლობაში მოშიმშილე პატიმრის ხელოვნური (იძულებითი) კვების უფლების და ამგვარი ღონისძიებების განხორციელებისთვის აუცილებელი სტანდარტების არარსებობა იწვევს ბუნდოვანებას იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება სახელმწიფოს პოლიტიკა პატიმრის სასიკვდილო შიმშილობის შემთხვევაში. საქართველოს კანონმდებლობაში მოშიმშილე პატიმრის იძულებითი სამედიცინო დახმარებისთვის და პარენტერალური (ინტრავენური) კვების გამოყენებისთვის საჭირო სტანდარტების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრას, შესაძლოა, კარგი პრევენციული დანიშნულება ჰქონდეს. ნაშრომის მიზანია, საერთაშორისო ორგანიზაციების და რამდენიმე ქვეყანაში არსებული პრაქტიკის ანალიზით დანახულ იქნეს მოშიმშილე პატიმრისთვის სიცოცხლის შენარჩუნების გზა და ასევე გაანალიზებულ იქნეს რა სპეციფიკით ხასიათდება პატიმრის პირადი ავტონომია და როდის ხდება ერთი მეორეზე უპირატესი. თანამედროვე სამყაროში, სადაც მე-20 საუკუნიდან აქტიურად იფეთქა პოლიტიკური სარჩულით პატიმრების შიმშილობამ; პინაზე ერთ მხარეს დაიდო პატიმრების ფიზიკური ხელშეუხებლობა და მეორე მხარეს კი – მათი სიცოცხლის დაცვისა და მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების ვალდებულება. აღნიშნული მსჯელობის ნათელი მაგალითია 2012 წელს ისრაელში ტერორიზმში ბრალდებული პალესტინელი პატიმრების მიერ დაწყებული მასშტაბური შიმშილობები, რომლითაც პატიმრების სიცოცხლეს რეალური საფრთხე ექმნებოდათ⁷. აღნიშნული საკითხების განხილვას კი დღესაც აქტუალობა არ დაუკარგავს.

6. UN, Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, (General Assembly resolution 39/46), 26/06/1984.

7. Library of Congress, Article Israel: Law Authorizing Force-Feeding of Prisoners Held Constitutional, Israel, 2016.



თავი 1. პატიმრის შიმშილობა და საერთაშორისო სტანდარტები

1. გაეროს ხედვა მოშიმშილე პატიმრის უფლებებთან დაკავშირებით

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ პაქტის მე-7 მუხლის თანახმად, არავინ არ უნდა გახდეს წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სუბიექტი და ასევე არავინ, მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება დაექვემდებაროს სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტებს⁸. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგადი კომენტარების კრებულიდან შეიძლება უფრო სიღრმისეულად დანახულ იქნეს მე-7 მუხლის არსი. კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა ორ ფაქტორზე: 1. მონაწილე სახელმწიფოს მოვალეობა – უზრუნველყოს ყველა ადამიანის დაცვა მე-7 მუხლით აკრძალული ქმედებისგან საკანონმდებლო და სხვა ზომების საშუალებით. წამების და არაადამიანური მოპყრობის იდენტიფიკაციის დროს აუცილებელია ეროვნულმა სასამართლომ გაითვალისწინოს შესაძლებლობების და უფლებამოსილებების ფართო არეალი: „ოფიციალური“, „მიღმა“ და „კერძო“⁹. მეორე ფაქტორი არის სახელმწიფოს ზოგადი პოზიტიური ვალდებულება. აკრძალული მოპყრობის და დასჯის სხვადასხვა ფორმებს შორის მკვეთრი განსხვავებების დადგენა არ არის საჭირო, რადგან ეს ყოველივე საქმის სპეციფიკიდან გამომდინარეობს და დამოკიდებულია კონკრეტული მკურნალობის სახეობაზე, მიზანსა და სიმძიმეზე¹⁰. თავისუფლებააღკვეთილი ყველა პირისთვის მე-7 მუხლით აკრძალულ მოპყრობას ემატება პაქტის¹¹ მე-10 მუხლის პირველი ნაწილის პოზიტიური მოთხოვნა, რომ მათ უნდა მოეპყრონ ჰუმანურობით და ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი ღირსების პატივისცემით¹². ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილის თანახმად ჯანმრთელობის უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებების რეალიზაციასთან. ეს და სხვა უფლებები და თავისუფლებები უკავშირდება ჯანმრთელობის უფლების შემადგენელ კომპონენტებს¹³. ჯანმრთელობის უფლება არ უნდა იქნას გაგებული, როგორც უფლება, იყო ჯანმრთელი. ჯანმრთელობის უფლება იყოფა თავისუფლებად და უფლებებად. აქვე აღსანიშნავია, რომ არსებობს ორი ძირითადი ამოსავალი თეორია: თავისუფლებაზე

8. International Covenant on Civil and Political Rights., General Assembly resolution 2200A (XXI), 16/12/1966.

9. United Nations, Office of the High Commissioner for Human Rights, Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, International Legal Standards for the Protection of Persons Deprived of Their Liberty, Chapter 8, p. 319, New York and Geneva, 2003.

10. United Nations, Compilation of General Comments and General Recommendations Adopted by Human Rights Treaty Bodies, General comment No. 7, para.1, p.168, HRI/GEN/1/Rev.8 8 May 2006.

11. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი.

12. იქვე.

13. United Nations, Compilation of General Comments and General Recommendations Adopted by Human Rights Treaty Bodies, General comment No.14, para.3, p.87, HRI/GEN/1/Rev.8 8 May 2006.

დაფუძნებული თეორია, რომელიც გავრცელებულია საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში და კონტინენტური სამართლის ქვეყნების თეორია, რომელიც უფლებებზე არის დაფუძნებული¹⁴. უფლებები თავისი შინაარსით, გულისხმობს, რომ ინდივიდს გააჩნია მორალური ან იურიდიული უფლება, გააკეთოს რაიმე. ხოლო, თავისუფლების პირველადი მოცემულობა გულისხმობს ადამიანის არჩევანსა და მოქმედებაში სახელმწიფოს მიერ იძულების ან შეზღუდვის არარსებობას¹⁵. თავისუფლებები ჯანმრთელობის ნაწილში მოიცავს უფლებას, გააკონტროლონ საკუთარი ჯანმრთელობა და სხეული. ხოლო, ამის საპირისპიროდ, უფლებები ჯანმრთელობის ნაწილში მოიცავს უფლებას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე¹⁶. პატიმრებთან მიმართებაში ზემოაღნიშნული კომიტეტის კომენტარებიდან იკვეთება რამდენიმე საკითხი, რომელიც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს მოშიმშილე პატიმრის სიცოცხლის მართვის პროცესში: პირის ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობა/მთლიანობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია პიროვნების თანდაყოლილი ღირსების აღქმასთან; უფლებამოსილების გამოყენების ფარგლები; მკურნალობის სახეობა და სიმძიმე, რომელიც შეიძლება აკრძალული მოპყრობის ან დასჯის სახეობაში ტრანსფორმირდეს; პატიმრის მიერ ჯანმრთელობის უფლებით სრულფასოვნად სარგებლობის საშუალება, რომელიც დაკავშირებულია პაქტით გათვალისწინებულ სხვა უფლებების დაცვასთან, განსაკუთრებით ღირსების, საკვების, წამების აკრძალვის და პრაივესის (პირადი ცხოვრების უფლება) უფლებებთან. თავისუფლებააღკვეთილი პირის არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ერთ-ერთი საუკეთესო გარანტიაა, სათანადოდ გაწვრთნილი პოლიციელი ან ციხის ოფიცერი. გამოცდილი და ადამიანის უფლებათა დაცვაში გათვინებული ოფიცრები შეძლებენ წარმატებით შეასრულონ თავიანთი მოვალეობები პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის გარეშე¹⁷.

2. მოშიმშილეების პოლიტიკური განაცხადი და გუანტანამოს ციხე

2014 წელს ამერიკაში იფეთქა პოლიტიკური სარჩულით შიმშილობის ფაქტმა (Aamer v. Obama (D.C. Cir. 2014), რომელსაც ამერიკულ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი ჰქონდა¹⁸. საინტერესოა ამ საქმეზე ამერიკის შეერთებული შტატე-

14. სმიტი რ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები სახელმძღვანელო, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (2005), ნიუ-იორკი, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, (თარგმანი კობიაშვილი მ.) თბ., 2006, 45.

15. ბათიაშვილი ი., საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი ეროვნული კანონმდებლობის და ევროპული კონვენციის კონტინუუმში, თსუ-ის „სამართლის ჟურნალი“, N2, თბ., 2021, 22.

16. United Nations, Compilation of General Comments and General Recommendations Adopted by Human Rights Treaty Bodies, General comment No.14, para.8, p.88, HRI/GEN/1/Rev.8 8 May 2006.

17. Council of Europe, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment, p.18, (CPT), CPT/Inf/E (2002) 1 – Rev. 2010.

18. Lempel J., Force-Feeding Prisoners on a Hunger Strike: Israel as a Case Study in International Law, Harvard International Law Journal, 2019.



ბის სააკელაციო სასამართლოს განმარტება, როდის შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ იძულებითი კვება მოშიმშლის სიცოცხლის გადასარჩენად¹⁹. სააკელაციო სასამართლომ გაითვალისწინა წინასწარი განკარგულების მინიჭებისას შეცდომის რისკი, რომელიც ადამიანის სიცოცხლეზე გადის და, მოსამართლე კოლეგიის მსგავსად, მანაც დაადგინა, რომ სამართლიანობის და საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსის შენარჩუნებისთვის მომჩივანთა მოთხოვნა დროებით იძულებითი კვების შეჩერების თაობაზე უარყოფილ იქნეს. აქვე აღსანიშნავია, გუანტანამოს ყურის უფროსი სამედიცინო ოფიცრის მიერ წარდგენილი დეკლარაცია, რომლითაც შეჯამებულია მთავრობის იძულებითი კვების პროტოკოლი. თუ დაკავებულის მიმართ ეს პროტოკოლი ამოქმედებული იქნება, იძულებითი კვებას სამედიცინო პერსონალი მხოლოდ მაშინ გამოიყენებს, როცა ეს გარდაუვალად აუცილებელი იქნება პაციენტის სიცოცხლის და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. იძულებითი კვება დაკავებულის ცხვირში და მუცელში ჩასმული „ნაზოგასტრიკული მილების“ გამოყენებით საჭმლის მიწოდებას გულისხმობს²⁰. დაკავებულ ალ შეჰრის საქმის სასამართლო დასკვნაში ნათქვამია, რომ დაკავებულს არ მისცეს ანესთეზია ან სედატიური საშუალება პროცედურისთვის; ამის საპირისპიროდ, ორმა ჯარისკაცმა გააკაზმა და სამედიცინო პერსონალის წევრმა ძალით ჩაუდგა მილი ცხვირსა და ყელში. პაციმარს ცხვირიდან ბევრი სისხლი წამოუვიდა... შედეგად კი, ორი დღე ვერ ლაპარაკობდა²¹. ამკარაა, რომ პაციმრების იძულებითი კვებაზე სათანადო სამედიცინო პროტოკოლის პროცედურული ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ადეკვატური სამედიცინო დახმარება იქნეს გაწეული.

3. მალტის დეკლარაცია მოშიმშოილების თაობაზე

მოსამართლე დუგლასმა ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ „ძნელია წარმოიდგინო უფრო მეტი შელახვა ადამიანის სხეულის მთლიანობის და თვითგამორკვევის უფლების, ვიდრე იძულებითი კვება“²². მოშიმშოილებს იშვიათად სურთ სიკვდილი, მაგრამ ზოგიერთს შეუძლია ამის გაკეთება თავისი მიზნების მისაღწევად, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაჩნდეს ღირებულებათა კონფლიქტი. პირველ რიგში ექიმებს ეთიკურად მოქმედების და ავტონომიის პატივისცემის ვალდებულება

19. United States Court of Appeals for the District of Columbia Circuit, Shaker Abdurraheem Aamer, detainee, camp delta and Saeed Ahmed Siddique, next friend of Shaker Abdurraheem Aamer, Appellants Barack Obama, President of America, et al appellees. No. 13-5223, 11/0/2014, 36.

20. United States Court of Appeals for the District of Columbia Circuit, Shaker Abdurraheem Aamer, detainee, camp delta and Saeed Ahmed Siddique, next friend of Shaker Abdurraheem Aamer, Appellants Barack Obama, President of America, et al appellees. No. 13-5223, 11/0/2014, 3.

21. Gordon A., The Constitutional Choices Afforded to a Prisoner on Hunger Strike: Guantanamo, Santa Clara Journal of International Law 345, 2011, 353-354.

22. Supreme Court of New Hampshire, In re Joel CAULK, doc. N. 84-246, 23/07/1984, cite: 480 A.2d 93, 125 N.H. 226.

აქვთ. ინფორმირებული და ნებაყოფლობითი უარის საწინააღმდეგოდ იძულებითი კვების გამოყენება მიუღებელია, თუმცა ხელოვნური კვება მოშიმშილის აშკარა ან აუცილებლად ნაგულისხმევი თანხმობით ეთიკურად მისაღებია. ამავდროულად ექიმები თავისი უნარ-ჩვევების და ცოდნის გამოყენებით აფასებენ სარგებელს და ზარალს. ხელოვნური კვება შეიძლება იყოს მისაღები, თუ საღ გონებაზე არმყოფ-მა პაციენტმა²³ წინასწარ არ დატოვა ინსტრუქციები მასზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში, მოშიმშილის ხელოვნური კვება მისი სიცოცხლის შენარჩუნების ან მძიმე შეუქცევადი ინვალიდობის თავიდან ასაცილებლად მისაღებია. მალტის დეკლარაცია რექტალური ჰიდრატაციის ან ამგვარი ფორმით კვების მხარდაჭერის თერაპიას კრძალავს. ასევე, დეკლარაციის შესაბამისად აუცილებელია, ექიმსა და მოშიმშილეებს შორის მუდმივი კომუნიკაცია. ზოგჯერ მოშიმშილეები თანახმა არიან მიიღონ ინტრავენური ხსნარის გადასხმა ან სამედიცინო მკურნალობის სხვა ფორმები. თუმცა დეკლარაციის 23-ე პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ მენტალურად კომპეტენტური მოშიმშილის ნების საწინააღმდეგოდ ენტერალური ან პარენტერალური კვების ყველა სახის ჩარევა „ჩათვლება როგორც „იძულებითი კვება“, ხოლო იძულებითი კვება არასოდეს არის ეთიკურად მისაღები²⁴.

4. საქართველოში არსებული სიტუაცია მოშიმშილე პაციენტების უფლებებთან დაკავშირებით

საქართველოში მოშიმშილე პაციენტების ჯანმრთელობის მართვის ნორმატიული ბაზა არსებობს და ამ ქვეთავში მიმოხილული იქნება. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის N35 ბრძანებით პირველად განისაზღვრა ციხის ადმინისტრაციის და დირექტორის ვალდებულება²⁵, ხოლო, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის N169 ბრძანებამ სიახლეები შეიტანა შიმშილობის პროცესის განმარტებაში და მის მართვაში²⁶. აღსანიშნავია, რომ შიმშილობა დაიყო სამ ნაწილად: არასრული შიმშილობა,²⁷ სრული შიმშილობა²⁸ და აბსოლუტური შიმშილობა²⁹.

23. კონდიცია, როდესაც მოშიმშილე პაციენტს აღარ აქვს უნარი, გაცნობიერებული თანხმობა ან უარი განაცხადოს.

24. WMA DECLARATION OF MALTA ON HUNGER STRIKERS, Adopted by the 43rd World Medical Assembly, Malta, 1991.

25. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N35 „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოშიმშილე მსჯავრდებულთა და პაციენტთა მიმართ მოპყრობის წესის და მათი შენახვის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, 24/03/2010.

26. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N169, პენიტენციურ დაწესებულებებში მოშიმშილე ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 04/07/2013.

27. მდგომარეობა, როდესაც მიღებული საკვები არ არის საკმარისი ენერგიის საერთო დანახარჯებთან შედარებით.

28. მდგომარეობა, როცა ორგანიზმი ღებულობს მხოლოდ წყალს.

29. მდგომარეობა, როცა ორგანიზმი არ ღებულობს არც საკვებს და არც წყალს.

ჩემი მოსაზრებით, ზემოხსენებული ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი სიტყვიერად და აშკარად არ გამოხატავს, რას გულისხმობს სამედიცინო დახმარება. ნორმის დისპოზიციიდან ჩანს, რომ ხელოვნური კვება დასაშვებია მხოლოდ მოშიმშილის თანხმობით, მაგრამ ამავდროულად უშვებს იმ გამონაკლის შემთხვევას, როდესაც სამედიცინო დახმარების განხორციელების გარეშე გარდაუვალია მოშიმშილის სიკვდილი, რის თაობაზეც გადაწყვეტილება უნდა იქნეს დადასტურებული მინიმუმ ერთი სხვა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ მაინც. იკვეთება თუ არა ხელოვნური (იძულებითი) კვების ნიშნები აღნიშნულ ჩანაწერში და ნორმის ამგვარი ფორმულირება ითხოვს თუ არა დამატებით რეგულაციებს, თუ გადაუდებლობის შემთხვევაში სამედიცინო დახმარების მიზნით მოშიმშილე პაციენტის მედიკამენტოზური/ინექციური მკურნალობა მოხდება (რომელიც ხელოვნური კვების სახეობად შეიძლება გარკვეულწილად ჩაითვალოს)? ქართული კანონდებლობის თანახმად, სამედიცინო დახმარება მოშიმშილეს მისი ნების საწინააღმდეგოდ მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი გაეწიოს, როდესაც მოშიმშილის სიკვდილი გარდაუვალი ხდება. ამ შემთხვევაში მოშიმშილეს სხეულზე სამედიცინო დახმარების ჩატარების მიზნით გარკვეული მანიპულაციები და მედიკამენტოზური მკურნალობა განხორციელდება, თუმცა იძულებით კვების მასშტაბთან ვერ გაიგივდება აღნიშნული. აქვე აღსანიშნავია, რომ ექიმი ვალდებულია ყოველდღიურად განმარტოებით გაესაუბროს მოშიმშილეს და დაადგინოს, სურს თუ არა მოშიმშილეს შიმშილის გაგრძელება და თუ სურს, რა ღონისძიებების გატარებაა მისთვის მისაღები, როცა პაციმარს აღარ ექნება უნარი მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება. ეს ნაწილი და მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც აპრიორში სახელმწიფოს ავალდებულებს, გადაარჩინოს მოშიმშილის სიცოცხლე, გარკვეულწილად კოლიზიაში მოდის ერთმანეთთან. პაციმარის სურვილი შეიძლება იყოს, რომ ის არასოდეს დაექვემდებაროს სამედიცინო დახმარებას, თუმცა ეს სურვილი კანონმდებლობით თავშივე უგულვებელყოფილია. მეორეს მხრივ, ამ ჩანაწერს პატარა პრევენციული ხასიათი აქვს. პაციმარის სამედიცინო ბარათში იქნება ჩანაწერი, გარდაუვალობის შემთხვევაში მისთვის რა ტიპის სამედიცინო დახმარებაა მისაღები, რის საფუძველზეც შესაბამისი უფლებამოსილი პირის აღნიშნული ქმედებით პაციმარის ფუნდამენტური უფლებები არ დაირღვევა. 2014 წელს საქართველოში სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში რვა პაციმარი შიმშილობდა³⁰. ეთიკური კუთხით თუ შევხედავთ, ქართული სამედიცინო ხედვით ექიმი უნდა იყოს დამოუკიდებელი და დარწმუნებული უნდა იყოს მოშიმშილის ფსიქიკურ მდგომარეობაში³¹. მოშიმშილის თანხმობის შემთხვევაში ხელოვნური კვება ეთ-

30. პრევენციის ეროვნული მექანიზმი, ანგარიში სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, (2014 წლის 27-28 ნოემბერი).

31. „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ (ავტორი: მერაბ ქავთარაძე), სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ სისტემაში, სამაგიდე კვლევა, 11.

იკურად მისაღებია. სასჯელადსრულების დაწესებულების ჩაკეტილი სპეციფიკიდან გამომდინარე, პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის საზოგადოებრივი მონიტორინგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს³². შიმშილობას პროტესტის ფორმად თვლის წითელი ჯვარი³³. 2007 წელს საქართველოში სრული შიმშილობის დაწყებით პოლიტიკური განაცხადი გააკეთა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ბათიაშვილმა, რომელმაც ამ ფორმით გააპროტესტა ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარება³⁴. საქართველოში მასიური შიმშილობები მხოლოდ 2013 წელს ფიქსირდებოდა, როდესაც პატიმრები წინა ხელისუფლების მიერ უსაფუძვლოდ დაპატიმრებას, დამამცირებელ მოპყრობას და პირობებს ასაჩივრებდნენ. 2013 წელს ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა საქართველოს მთავრობისთვის სამართლებრივ კონსტიტუციურ საკითხებსა და ადამიანის უფლებებში, თომას ჰამერბერგმა, ყურადღება გაამახვილა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ პატიმრებს უნდა მიეცეთ საქმეების გადახედვის საშუალება იმისთვის, რომ აღდგეს სამართლიანობა³⁵. 2022 წელს საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო არასრული შიმშილობა დროში ეტაპობრივი წყვეტით.

თავი 2. პატიმრის იძულებითი კვების გამოყენებაზე განსხვავებული მიდგომები

5. ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Von Holden v. Chapman-ის საქმეზე და ჯორჯიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Zant v. Prevalle საქმეზე

სუიციდის განმარტებას მოშიმშილე პატიმრის მდგომარეობის დროს ერთ-ერთი გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. არის თუ არა პატიმრის მიზანი სუიციდი? თვალსაჩინოებისთვის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Von Holden v. Chapman და ჯორჯიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Zant v. Prevalle.

32. ადამიანის უფლებათა ცენტრი, მსჯავრდებულის უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები, თბ, 2014, 28.

33. გუჯაბიძე ს., ონლაინ სტატია „შიმშილობა როგორც პროტესტი – ცნობილი ფაქტები და ისტორიული ექსკურსი“, ამერიკის ხმა, 2021.

34. ირაკლი ბათიაშვილმა უვადო შიმშილობა 2007 წლის 22 მაისს სასამართლო პროცესზე დაიწყო; მიახლოებით 14 დღე იშიმშილა; იღებდა მხოლოდ წყალს. ირაკლი ბათიაშვილმა შეწყვიტა შიმშილობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის თხოვნით, რომელიც მივიდა მეშვიდე საპყრობილეში ირაკლი ბათიაშვილთან.

35. ადამიანის უფლებათა ცენტრი, მსჯავრდებულის უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები, თბ, 2014, 31.



ჯორჯიის უზენაესი სასამართლო დაეთანხმა ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებულ ბრძანებას მოშიშმილე პატიმრის პრევატეს იძულებით კვების თაობაზე უარის შესახებ³⁶. სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს არგუმენტი სახეზეა ლოგიკური დასკვნა, რომ სახელმწიფო სთხოვს სასამართლოს პატიმრის ნების საწინააღმდეგოდ პატიმრის სიცოცხლის შენარჩუნებას, რომელსაც სიკვდილით დასჯა აქვს მისჯილი და რომელსაც შემდგომ სახელმწიფო თავად მოუშვებს სიცოცხლეს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ აღიარა სახელმწიფოს უფლება პატიმრობისა და სიკვდილით დასჯის გამოყენების შესახებ, მან უარი თქვა ამ უფლების კიდევ უფრო გავრცობაზე და აქედან გამომდინარე „ადამიანის ნების განადგურებაზე“.

ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს სააპელაციო განყოფილებამ განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო საქმეში ფონ ჰოლდენი ჩეპმენის წინააღმდეგ³⁷. სასამართლომ პატიმრის მოთხოვნა პირადი ცხოვრების დაცვის თაობაზე უარყო ორი მიზეზით: პირველ რიგში სასამართლომ შიმშილობა გაათანაბრა თვითმკვლელობასთან და განაცხადა, რომ „პრაივესის უფლება არ მოიცავს სუიციდის უფლებას“. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ინტერესშია პატიმრების თვითგანადგურების სურვილის პრევენცია. ასევე, სასამართლომ ხაზი გაუსვა სიცოცხლის შენარჩუნების მაღალ სოციალურ ღირებულებას და თვითმკვლელობა (სუიციდი) დაახასიათა როგორც „სერიოზული საზოგადოებრივი შეცდომა“. ამ საქმეში თანაბრად მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სამი საპირისპირო მოსაზრება, რომელმაც შესაძლებელია გადაწონოს პატიმრის უფლებები, ესენია: სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას მის პატიმრობაში მყოფი პირების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; პატიმრის სიცოცხლის შენარჩუნებაში სახელმწიფოს ინტერესი; სახელმწიფოს ინსტიტუტებში რაციონალური და მოწესრიგებული პროცედურების შენარჩუნებაში სახელმწიფოს ინტერესი.

6. ისრაელისა და გერმანიის ნორმატიული აქტები იძულებით

კვებასთან დაკავშირებით

გერმანიის კანონმდებლობით სპეციალური პირობების დაცვით და სპეციფიკურ შემთხვევაში, რომელსაც კანონი განსაზღვრავს, დასაშვებია იძულებითი კვება. თავისუფლების აღკვეთის თაობაზე სასჯელის აღსრულებისა და რეფორმისა და პრევენციის ღონისძიებების შესახებ (საპატიმროს კანონი) გერმანიის

36. *Powell S.*, Constitutional Law-Forced Feeding of a Prisoner on a Hunger Strike: A Violation of an Inmate's Right to Privacy, North Carolina Law Review, Vol. 61, N4, Article 5, 1983, p. 714-715.

37. *Powell S.*, Constitutional Law-Forced Feeding of a Prisoner on a Hunger Strike: A Violation of an Inmate's Right to Privacy, North Carolina Law Review, Vol. 61, N4, Article 5, 1983, p. 715-716.

1976 წლის ნორმატიული აქტის შესაბამისი მუხლი ცალსახად უშვებს პატიმრების იძულებით კვებას მათი ნების საწინააღმდეგოდ, თუმცა იმ პირობით, თუ არსებობს სერიოზული საფრთხე პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის³⁸. საპატიმროს აქტის 101-ე მუხლის (იძულებითი ღონისძიებები სამედიცინო დახმარების სფეროში)³⁹ თანახმად, იძულებითი სამედიცინო გამოკვლევა, იძულებითი მკურნალობა და იძულებითი კვება დასაშვებია სამ შემთხვევაში: ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ მდგომარეობაში, პატიმრის ჯანმრთელობისთვის სერიოზული საფრთხის შემცველ მდგომარეობაში ან სხვა პირის ჯანმრთელობისთვის საფრთხის არსებობის დროს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ზომები პატიმრის მიმართ იყოს გონივრული და არ შეიძლება შეიცავდეს სერიოზულ საფრთხეს პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საწინააღმდეგოდ.

ასევე, საინტერესოა ისრაელის ნორმატიული აქტი, რომელიც პოლიტიკურ სიტუაციასთან პირდაპირ კავშირშია. 2012 წელს ტერორიზმში ექვმიტანილმა და მსჯავრდებულმა პალესტინელმა პატიმრებმა მასიური შიმშილობა დაიწყეს⁴⁰. მოშიმშილე პატიმრების იძულებითი კვების შესახებ ნორმატიული რეგულირების შემოტანის პროცესში ისრაელის შინაგან საქმეთა უშიშროების მინისტრმა გილად ერდენმა განმარტა: „ციხეში ტერორისტების შიმშილობა იქცა ისრაელის სახელმწიფოზე ტერორისტების გათავისუფლების ზეწოლის და მუქარის იარაღად“⁴¹. ისრაელის საპატიმროს (ციხის) შესახებ განკარგულებაში ცვლილების თანახმად, საპატიმროს კომისარს გენერალური პროკურორის თანხმობის შემდგომ უფლება აქვს მიმართოს რაიონულ სასამართლოს მოშიმშილე პატიმრისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით ნებართვის მიღებაზე. ამავდროულად, სასამართლოსთვის მიმართვამდე, უნდა იქნეს გატარებული მნიშვნელოვანი ძალისხმევა პატიმრის მკურნალობაზე თანხმობის მისაღებად. კანონის თანახმად, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა მიიღოს მხედველობაში რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ: 1. პატიმრის სამედიცინო და ფსიქიკური მდგომარეობა; 2. სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილ მკურნალობასთან და სხვა ალტერნატიულ მეთოდებთან დაკავშირებული პატიმრის შანსები და რისკები; 3. მოთხოვნილი მკურნალობის ინვაზიურობის⁴² ხარისხი და მისი გავლენა პატიმრის მდგომარეობაზე; 4. პატიმრის ღირსება, მდგომარეობა და მოტივები;

38. *Lempel J.*, Force-Feeding Prisoners on a Hunger Strike: Israel as a Case Study in International Law, *Harvard International Law Journal*, 2019.

39. Prison Act of 16 March 1976 (Federal Law Gazette Part I p. 581, 2088), as last amended by Article 1 of the Act of 19 June 2019 (Federal Law Gazette I p. 840), Federal Ministry of Justice of Germany.

40. *Levush R.*, Israel: Law Authorizing Force-Feeding of Prisoners Held Constitutional, *Law Library of Congress*, 2016.

41. BBC News, (middle east), Israel passes law allowing force-feeding of prisoners, 30/07/2015.

42. ინვაზიური მეთოდები – კომპონენტები: 1. სხეულზე წვდომის მეთოდი, 2. ხელსაწყოები. 3. ოპერატორი უნარ-ჩვევებზე მოთხოვნა (Cousins S., Blencowe N., Blazeby J., What is an invasive procedure? A definition to inform study design, evidence synthesis and research tracking, *BMJ Open*, 2019, 2, doi:10.1136/bmjopen-2018-028576).



5. ადამიანის სიცოცხლის მიმართ ანალოგიური მოპყრობის შედეგები ან ეროვნული უსაფრთხოებისთვის მძიმე ზიანის მიყენების რეალური შიში. ისრაელის ნორმატიული აქტის თანახმად, თუ სასამართლო ნებართვას გასცემს, პატიმრის სიცოცხლის გადასარჩენად ან მუდმივი მძიმე ინვალიდობის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელი იქნება, მინიმალური სამედიცინო დახმარების გაწევა, თუნდაც პატიმარი წინააღმდეგი იყოს. მკურნალობა ჩატარდება ექიმის თანდასწრებით და ამავდროულად ისეთ ადგილზე, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრის ღირსების მაქსიმალურ დაცვას. თუ პატიმარი აღმზრდელის მოთხოვნის მიუხედავად, უარს იტყვის მკურნალობაზე, აღმზრდელს შეუძლია პატიმრის წინააღმდეგ გამოიყენოს გონივრული (შესაბამისი) ძალა მხოლოდ მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით. ძალის გამოყენების დროს აუცილებლობის ფაქტორს ყურადღება ექცევა.

7. დიდი ბრიტანეთის სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებით კვებასთან დაკავშირებით

1969-1978 წლები პოლიტიკურ ჭრილში ბრიტანეთისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. სიკვდილამდე შიმშილობის პირველი მარცვალი ჩაიყარა 1976 წელს, როდესაც ირას წევრების მიმართ არსებული „სპეციალური სტატუსი“ გაუქმდა. ამ აქტით მათ ჰქონდათ საშუალება უარი ეთქვათ პატიმრის სამოსზე. ტანსაცმლის საკითხი მათთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ისინი აცხადებდნენ, რომ იყვნენ „პოლიტიკური“ პატიმრები, რომლებიც IRA-ს ისტორიული მიზნისთვის, ერთიანი ირლანდიისთვის იბრძოდნენ⁴³. 1980 წელს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკამ შეცვალა იქამდე გაერთიანებულ სამეფოში არსებული პრაქტიკა⁴⁴. 1981 წლის 5 მაისს, 27 წლის ბობი სენდსი, IRA-ს ერთ-ერთი ლიდერი, ბელფასტის მაზის ციხეში შიმშილით დაიღუპა. რამდენიმე თვეში მისი 9 მოშიმშილე თანამოაზრე დაკრძალეს⁴⁵. სასიკვდილო შიმშილობის შემდგომ, გაერთიანებულმა სამეფომ პატიმრებს საკუთარი სამოსის ტარების და თავისუფლად კომუნიკაციის უფლება მისცა და ნელ-ნელა შეძლო მასიური შიმშილობის დარეგულირება⁴⁶. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმე „ირლანდიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის წინააღმდეგ“ ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე იყო, სადაც დაწვრილებით აღწერილია შეტაკებების და ტერორისტული აქტების კასკადი, რომელსაც ახორციელებდა ოლსტერის მოხალისე ძალები (UVF)

43. Cloon S., Competent Hunger Strikers: Applying the Lessons from Northern Ireland to the Force-Feeding in Guantanamo, Notre Dame Journal of Law, 2017, 387-388.

44. Dr. Miller., Why H-Block hunger strikers were not force-fed, The Irish Times, 05/07/2016.

45. BBC News, Bobby Sands: The hunger strike that changed the course of N Ireland's conflict, 01/05/2021.

46. BBC News, Bobby Sands: The hunger strike that changed the course of N Ireland's conflict, 01/05/2021.

და ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA)⁴⁷. დღეის მდგომარეობით გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა იმპერატიული ფორმით კრძალავს საღ გონებაზე მყოფი პატიმრის სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის მკურნალობის ჩატარებას, მათ შორის, ხელოვნურ კვებას, თუ შიმშილობის დაწყებამდე არსებობდა პატიმრის ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უარი. ეს უარი უნდა იყოს ძალიან მკაფიო, აშკარა და კონკრეტული⁴⁸. თუმცა 1983 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ კანონის მიხედვით⁴⁹ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, რომლის დროსაც ხელისუფლებას შეუძლია მოითხოვოს პატიმრის იძულებითი კვება. ასევე აღსანიშნავია, საპატიმროს (ციხის) კანონი, რომლის თანახმად სახელმწიფო მდივანს შეუძლია, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, ბრძანებით დაუშვას პატიმრის დროებითი გათავისუფლება⁵⁰. საქართველოს კანონმდებლობაში განსხვავებული ფორმულირებით და კონტექსტით იმეზნება სახდელის გადავადების საკითხი⁵¹. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების შემთხვევებს⁵². ანალოგიურად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც განაჩენის გადავადება შესაძლებელია.

თავი 3. საბჭოთა კავშირის რეჟიმი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ხედვა

8. მერაბ კოსტავას საქმე

მერაბ კოსტავა თანამოაზრეებთან ერთად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, ეწეოდა დისიდენტურ და ადამიანის უფლებათა დამცველ საქმიანობას და ამ ფორმით იბრძოდა საქართველოში დამყარებულ საბჭოთა რეჟიმს⁵³. მერაბ კოსტავა 1977 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დააპატიმრეს⁵⁴. 1984 წლის 12 ნოემბრიდან იწყება დისიდენტის 13 თვიანი ნებაყოფლობითი შიმშილობა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დროდადრო მას იძულებით კვებავდნენ. პარადოქსულია ის ფაქტი, რომ დაუძლურებული და

47. European Court of Human Rights (plenary), Case of Ireland v. the United Kingdom (Application no. 5310/71) Judgment, 18.01.1978.

48. BBC News, UK When is force-feeding allowed?, 29/10/1999.

49. UK Parliament, (HMSO), Mental Health Act 1983, Chapter 20, part IV, section 63.

50. UK Parliament, (HMSO), UK public general Acts, Prison Act 1952, c 52, section 28.

51. საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 2696, 09/03/2010, მუხლი 86.

52. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, 2287, 22/07/1999, კარი III, თავი XIV, მუხლი 74.

53. თავისუფალი ენციკლოპედია, მერაბ კოსტავა.

54. *სანადირაძე ნ.* (სტატია – მერაბ კოსტავა), კვლევითი პუბლიკაცია: „მერაბ კოსტავას ცხოვრება და მოღვაწეობა“ თბილისის მუზეუმების გაერთიანება, სტამბა სეზანი, 2019/2020. 241-250.



სამკურნალო დაწესებულებიდან ახალი გადმოყვანილი მერაბ კოსტავა 21 იანვარს 10 დღით ისევ საჯარიმო იზოლაციაში გაამწესეს, ხოლო 31 იანვარს შიმშილობით დაუძლურებული 3 თვით კარცერში ჩასვეს, სადაც აგრძელებდა შიმშილობას და მისი ნების საწინააღმდეგოდ სისტემატურად იძულებით კვებადნენ⁵⁵. მერაბ კოსტავამ 1985 წლის ივლისში დაწერა პოემა „შიმშილობა“, სადაც ხელოვნური კვება „შეუწელებელი შიმშილის განცდას“ შეადარა. ფაქტია, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს ხელოვნურ იძულებით კვებას, არა სიცოცხლის გადასარჩენად, არამედ პატიმრების დასამორჩილებლად, როგორც სადამსჯელო ღონისძიებას, იყენებდნენ.

9. Nevmerzhitsky-ის საქმე

მოშიმშილე პატიმრის სიცოცხლის გადასარჩენად, იძულებითი კვების საკითხთან დაკავშირებით დასავლური მსოფლიოს ხედვა ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული არ არის. საქმეში ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ (Nevmerzhitsky v Ukraine)⁵⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასების და მოსაზრებების თანახმად, შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ თუ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ზომები სამედიცინო კუთხით გადაუდებლად საჭირო იყო და ამავედროულად სათანადო დაცვის მექანიზმებიც მოქმედებდა, მაშინ აღნიშნული არ გახდება სადავო. კერძოდ: საქმეში ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ სასამართლომ მიიჩნია, რომ იძულებითი კვება, როცა ეს აუცილებელია სამედიცინო ჩვენებით სიცოცხლის გადასარჩენად, არსებითად, არ უნდა ჩაითვალოს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად. აქვე, მნიშვნელოვანია, რომ ასეთ მოქმედებას (ხელოვნურ კვებას) თან ახლდეს პროცედურული გარანტიები, რომლებითაც გამორიცხული იქნება ძლიერი უხეშობა და გამოყენებული ზომები არ გასცდება სისასტიკის მინიმალურ ზღვარს⁵⁷. სასამართლომ დაასკვნა, რომ მთავრობის მიერ რაიმე სამედიცინო დასაბუთების გარეშე განმცხადებლის იძულებითი კვება დადგენილებით გათვალისწინებული ალჭურვილობის (ხელბორკილები, პირის გასაფართოვებელი საშუალება (протороширювач) და სპეციალური რეზინის მილი ჩადგმული საკვების არხში) გამოყენებით, მაგრამ ამავედროულად განმცხადებლის მიერ წინააღმდეგობის გაწევის პირობებში, წამების ხასიათის მატარებელი იყო.

55. *მიქიაშვილი ნ.*, მერაბ კოსტავა, მეორე გამოცემა, შპს „სანდრო 97“-ის შეკვეთით დაიბეჭდა შპს ე.ს. „Geo-Bel“-ში ქუთაისი, 2016, 20, 21.

56. European Court of Human Rights, (177 5.4.2005), Press release issued by the Registrar, case of Nevmerzhitsky v. Ukraine (application no. 54825/00).

57. *მერდოკი გ., ჟირიკა ვ.*, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა ციხეში, ეს ნაშრომი ითარგმნა და დაიბეჭდა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის - „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში „II“ – ფარგლებში, ევროპის საბჭო, 2016, 31-32.

დასკვნა

ხელოვნური (იძულებითი) კვების საკანონმდებლო დონეზე დაშვების შემთხვევაში საჭიროა სახელმწიფო სტანდარტების არსებობა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის, გერმანიის სამართლის, ისრაელის სამართლის და გაეროს რეგულაციების შესაბამისი იქნება. ამერიკული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვისას შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს პოზიციამ შეიძლება გადაწონოს პატიმრის ავტონომიის უფლება, თუ ხუთი დასაბუთებიდან ერთ-ერთი იარსებებს: სიცოცხლის შენარჩუნების საკმარისი ინტერესი; თვითმკვლელობის პრევენცია; ციხის ეფექტიანი ადმინისტრირების საჭიროება; სამედიცინო ეთიკის წმინდად დაცვა ან ინსტიტუციური სისტემის მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლა⁵⁸. ხელოვნურ კვებას სამედიცინო ზუსტი პროტოკოლი და განსწავლული სამედიცინო პერსონალი სჭირდება, რომლის შექმნა, განვითარება და ზედამხედველობა სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილს უნდა შეადგენდეს. ჩემი ხედვით, 2013 წლის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N169 ბრძანებაში შეიძლება უმჯობესი იყოს, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი შეიცვალოს ქვემოთ მოცემული ფორმულირებით: „დაწესებულებაში მყოფი მოშიშმილის იძულებითი მკურნალობა დაუშვებელია. შიმშილობის დროს სამედიცინო დახმარების გაწევა, მათ შორის, ხელოვნური კვება, დასაშვებია მხოლოდ მოშიშმილის ინფორმირებული თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამედიცინო დახმარების განხორციელების გარეშე გარდაუვალია მენტალურად არაკომპეტენტური მოშიშმილის სიკვდილი, რის თაობაზეც გადაწყვეტილება უნდა იქნეს დადასტურებული მინიმუმ ერთი სხვა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ მაინც“. ასევე, მე-2 მუხლში ტერმინთა განმარტებაში დაემატოს „ე)“ ქვეპუნქტი: „სამედიცინო დახმარება – პარენტერალური კვება ან/და ინტრავენური ხსნარის გადასხმა ან/და სამედიცინო მკურნალობის სხვა ფორმების განხორციელება“. გერმანიის საპატიმროს აქტის ანალიზისას აშკარაა, რომ სახელმწიფომ პატიმრის ხელოვნური (იძულებითი) კვებისთვის და იძულებითი მკურნალობისთვის რამდენიმე აუცილებელ სტანდარტზე და პრინციპებზე უნდა გააკეთოს აქცენტი. კერძოდ: 1. სერიოზული და რეალური საფრთხის არსებობა; 2. იძულებითი ღონისძიების გამოყენების გონივრულობა თავად პატიმრის ინტერესებთან მიმართებაში, რაც ნიშნავს, რომ გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს რელევანტური, შესაბამისი და დასახული მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება; 3. პატიმარი უნდა იყოს მენტალურად არაკომპეტენტური, ეს კი ნიშნავს, რომ ის უნდა იყოს იმდენად დაუძლურებული, რომ არ შეეძლოს საკუთარი ნების გამოხატვა; 4. სამედიცინო ოფიცრის ჩართულობის აუცილებლობა. ზემოაღნიშნული მსჯელობი-

58. *Gordon A.*, The Constitutional Choices Afforded to a Prisoner on Hunger Strike: Guantanamo, Santa Clara Journal of International Law 345, 2011, 355.



დან მიღებულ რეკომენდაციებს შეიძლება დაემატოს ისრაელის საპატიმროს შესახებ კანონის კონკრეტულად ის ჩანაწერი, სადაც სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, მკურნალობა ჩაატაროს ექიმის თანდასწრებით და ამავდროულად ისეთ ადგილზე, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრის ღირსების მაქსიმალურ დაცვას. ჩემი მოსაზრებით პატიმრის შიმშილობის დროს მიზანშეწონილი იქნება, თუ ისრაელის კანონმდებლობას დავეყრდნობით: სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს მოძებნოს ალტერნატიული გამოსავალი.

ჩემი ხედვით, საქმეში ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით შექმნილი სტანდარტები შეიძლება კარგად მიესადაგოს იმ შემთხვევას, როდესაც პატიმარი უგონო მდგომარეობაშია და წინასწარ მას საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია ხელოვნურ კვებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, რადგან პატიმრის სურვილი უცნობია, ხელოვნური კვება შეიძლება იძულებით კვებასთან გაიგივდეს. მოშიმშილე პატიმრის ხელოვნური (იძულებითი) კვების დროს აუცილებელია დაცულ იქნეს ის სტანდარტები, რაც სასამართლოს მიერ იქნა ჩამოყალიბებული: 1. სამედიცინო ჩვენების თანახმად, ხელოვნური (იძულებითი) კვება აუცილებელია პატიმრის სიცოცხლის გადასარჩენად; 2. მოშიმშილე პატიმრის ხელოვნური (იძულებითი) კვების დროს პარალელურად პროცედურული გარანტიების არსებობა (ისეთი მოქმედების განხორციელება, რომლითაც ჩარევა ძლიერ უხეშობაში არ გადაიზრდება), 3. მოშიმშილე პატიმრის ხელოვნური (იძულებითი) კვების დროს მიღებული ზომები მინიმალური სისასტიკის ზღვარს არ უნდა გასცდეს. თუ სახელმწიფომ არ დაიცვა ეს სტანდარტები, მაღალი ალბათობით მისი ქმედება ამგვარ სიტუაციაში გაუტოლდება წამებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა ცენტრი, მსჯავრდებულის უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები, თბ., 2014.
2. მერდოკი ჯ., ჟირიკვა ვ., არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა ციხეში, ეს ნაშრომი ითარგმნა და დაიბეჭდა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის – „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში II“ – ფარგლებში, ევროპის საბჭო, 2016, 31-32.
3. ბათიაშვილი ი., საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი ეროვნული კანონმდებლობის და ევროპული კონვენციის კონტინუუმში, თსუ-ის „სამართლის ჟურნალი“, N2, თბ., 2021, 22.
4. საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, ანგარიში სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2014 წლის 27-28 ნოემბერი).



უცხოურენოვანი ლიტერატურა

1. Gordon A., The Constitutional Choices Afforded to a Prisoner on Hunger Strike: Guantanamo, Santa Clara Journal of International Law 345, 2011.
2. Powell S., Constitutional Law-Forced Feeding of a Prisoner on a Hunger Strike: A Violation of an Inmate's Right to Privacy, North Carolina Law Review, Vol. 61, N4, Article 5, 1983.
3. United Nations, Office of the High Commissioner for Human Rights, Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, International Legal Standards for the Protection of Persons Deprived of Their Liberty, Chapter 8, New York and Geneva, 2003.
4. Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on the case-law of the European Convention on Human Rights, Prisoner's rights, Updated on 31 December 2021.
5. Lempel J., Force-Feeding Prisoners on a Hunger Strike: Israel as a Case Study in International Law, Harvard International Law Journal, 2019.
6. Cousins S., Blencowe N., Blazeby J., What is an invasive procedure? A definition to inform study design, evidence synthesis and research tracking, BMJ Open, 2019, 2.
7. Levush R., Israel: Law Authorizing Force-Feeding of Prisoners Held Constitutional, Law Library of Congress, 2016,
8. Cloon S., Competent Hunger Strikers: Applying the Lessons from Northern Ireland to the Force-Feeding in Guantanamo, Notre Dame Journal of Law, 2017, 387-388.